ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10
2022 წლის 4 აპრილი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების საფუძველზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 23/01/2020, 190020020.35.158.016492) დამტკიცებულ დანართი №1-ში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-12 მუხლის პირველ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დახმარებების მიღება გათვალისწინებულია ოჯახის მხოლოდ ერთ წევრზე. ამასთან, „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიით მოსარგებლე ბენეფიციარების შემთხვევაში დახმარება გაიცემა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მიერ შედგენილი სარეკომენდაციო ხასიათის (არა სავალდებულო) აქტის (აქტის შედგენის საფუძველი: განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ოჯახის სოციალური მდგომარეობისა და ოჯახის წევრთა შესახებ) საფუძველზე (დანართი 2).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**

დანართი 2

აქტი

გვარი, სახელი _____

პირადი ნომერი _____

რეგისტრაციის მისამართი _____

ფაქტიური მისამართი _____

საკონტაქტო ნომერი _____

ინფორმაცია ოჯახის წევრთა შესახებ

№	გვარი, სახელი	ნათესაური კავშირი განმცხადებელთან	პირადი ნომერი	ასაკი	სტატუსი (პენსიონერი, არასრულწლოვანი, შშმ პირი)
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					

ოჯახის სოციალური მდგომარეობის აღწერა

ოჯახის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

აქტი შედგენილია განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე:

მერის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელმოწერა: ----------